

**სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**  
**განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის**

**სტრატეგიული განვითარების გეგმა**

**(2019-2025 წწ)**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში არის ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ერთდროულად ახორციელებს სწავლებას ხელოვნების ოთხი მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება. უნივერსიტეტში სწავლება ორსაფეხურიანია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა.

ხელოვნების უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება დასახელებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დამკვიდრებული ტრადიციების გაგრძელებასა და იმ პრიორიტეტების განხორციელებას, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში დგას უმაღლესი სახელოვნებო განათლების წინაშე.

**ხელოვნების უნივერსიტეტის მისიაა:**

- ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილებით საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

- უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება;

• რეგიონში დაიკავოს კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის ადგილი და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის განვითარებას.

**განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:**

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეიქმნა 2010 წლის 24 თებერვალს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების ხელოვნების უნივერსიტეტში გადმოსვლის საფუძველზე.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნას წინ უძღოდა სახელოვნებო თეორიული მიმართულების სპეციალობების არსებობის მრავალწლიანი გამოცდილება, რომელიც ქ. ბათუმში 1995 წელს - ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის დაარსებიდან იღებს სათავეს. წლების განმავლობაში თეორიული კურსების სწავლებას ახორციელებდა ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტში არსებული ხელოვნებათმცოდნეობისა და ზოგადი დისციპლინების კათედრა.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი არის სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სტუქტურული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლების და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო პროგრამებს და პროფესიული განათლების დიპლომირებული სპეციალისტის, სახელოვნებო მიმართულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამებს. ფაკულტეტი თავის

საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის, ფაკულტეტის დებულებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

#### **ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები:**

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამებისა და ამ პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, რომლებიც ქვეყნის საკანონმდებლო აქტებით, ბოლონიის დეკლარაციითა და სახელოვნებო ინსტიტუტების ევროპული ლიგის ასოციაციის (ELIA) ფუძემდებლური პრინციპებითაა განსაზღვრული.

#### **ფაკულტეტის მიზანია:**

➤ ქვეყნის, რეგიონისა და საზოგადოების ინტერესების შესატყვისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

➤ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ახალი პროგრამების დანერგვა;

➤ ქვეყნის, რეგიონის უზრუნველყოფა ქართული კულტურისა და სახელოვნებო ჰუმანიტარული მიმართულების (ხელოვნების ისტორია და თეორია, ხელოვნებათმცოდნეობა), კულტურის მენეჯმენტის, მედია ხელოვნების, კულტურული ტურიზმის, სახელოვნებო განათლების მაღალკვალიფიციური კადრებით.

➤ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით;

➤ სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, მაღალი ხარისხის აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით;

➤ სტუდენტების აღზრდა ქართული და მსოფლიო კულტურის ფასეულობებზე, მათი ორიენტირება ეროვნული ტრადიციების დაცვაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ჰუმანიზმის იდეალების განვითარებაზე;

➤ ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაცია მსოფლიო საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში; საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება. უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა; პარტნიორობა, თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით.

➤ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის რეალიზება ქართულ რეალობაში;

➤ სპეციალისტთა გადამზადება, დამატებითი განათლების მისაღებად მრავალფეროვანი პროგრამების შემუშავება და უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა;

➤ საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევებისათვის უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი გარემოს შექმნა, მეთოდური და ინფორმაციული უზრუნველყოფა; შეასრულოს სხვადასხვა საპროექტო სამუშაოები და სამეცნიერო კვლევები;

#### **ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად ფაკულტეტის ამოცანებია:**

➤ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობით შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარებისა და კალენდარული გეგმები;

➤ განხორციელოს აკადემიური უმაღლესი განათლების, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები; უწყვეტი განათლების ეგიდით პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები და კურსები;

- ღია კონკურსის საფუძველზე მოახდინოს აკადემიური პერსონალის შერჩევა;
- ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მეთოდების გამოყენებით მიაღწიოს სწავლების მაღალ დონეს;
- უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში;

#### **სასწავლო პროცესი:**

- დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე სტანდარტების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება-განხორციელება;
- აჭარის არ რეგიონალური ინტერესების, ქვეყნის და საერთაშორისო საბაზრო მოთხოვნების პრინციპების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამებში;
- სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, საზოგადოების დაინტერესებული პირების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და სასწავლო პროცესის შეფასება-ანალიზის პროცესში;
- მუდმივი ზრუნვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის; ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟირების, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა;

#### **კვლევითი მუშაობა:**

ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურისა და ხელოვნების დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, გამოცდილება და სამეცნიერო წარმატებები განსაზღვრავენ სწავლების ხარისხს და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის დონეს;

- პარტნიორი უნივერსიტეტებიდან და დაწესებულებებიდან სპეციალისტების მოწვევა კონსულტანტებად;
- პროფესორ მასწავლებელთა მონაწილეობა კვლევით პროექტებში, ექსპედიციებში, კონფერენციებში.
- სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო რეგიონალური და საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება; სამეცნიერო კონფერენციების პროგრამების, თეზისებისა და კრებულების გამოცემა;
- სპეციალისტების სამეცნიერო მივლინება ქვეყნის შიგნით და უცხოეთში.
- საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევითი კომპონენტების გაძლიერება, სწავლისა და კვლევის პროექტების ინტეგრირება.
- თეორიული პროგრამებისათვის განსაზღვრული აუდიტორიების მოწყობა თანამედროვე ინვენტარითა და საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობით;
- საკონფერენციო დარბაზების მოწყობა და აღჭურვა ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით.

#### **საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმიანობა:**

- უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდის შევსება ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გათვალისწინებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით;

- ფაკულტეტის პერიოდული სამეცნიერო კრებულის „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ გამოცემა;
- ელექტრონული ჟურნალის გამოცემა;
- პროფესორ-მასწავლებელთა სახელმძღვანელოების, ლექციების კურსების წიგნად გამოცემა;
- ცალკეული სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიების გამოცემა;

**პარტნიორობა, თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები:**

- უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორ დაწესებულებებთან ურთიერთობა;
- პერსონალის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა ინტერნაციონალიზაციის მიზნით
- სტუდენტურ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.
- უცხო ენოვანი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნა და წიგნად გამოცემა;

**სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა:**

- ფაკულტეტი მიზნად ისახავს შრომის ბაზრის კვლევას და სტუდენტთა დასაქმების პროცესის ხელშეწყობას. ამ თვალსაზრისით დაგეგმილია ეტაპობრივი შეხვედრები კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებთან, რესურსცენტრებთან მათი წინადადებებისა და მოთხოვნების გასათვალისწინებლად. ასევე, რეკომენდაციების სისტემის დანერგვა დამსაქმებლებისათვის.
- სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის პროექტების განხორციელება, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა:**

<b>SWOT ანალიზი</b>	
<b>ფაკულტეტის ძლიერი მხარეები</b>	<b>ფაკულტეტის სუსტი მხარეები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>● კაპიტალური შენობა;</li> <li>● ფაკულტეტის მისია, მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია საქართველოს სახელოვნებო დარგებთან ;</li> <li>● მისიის, ამოცანების და მიზნების მხარდაჭერა ხორციელდება უნივერსიტეტის დონეზე;</li> <li>● ფაკულტეტის მისიის, მიზნების და ამოცანების განხორციელების ადამიანური და მატერიალური რესურსი;</li> <li>● სტაბილური აკადემიური პერსონალი, რომელთა საშუალო ასაკი 40-55 წელია;</li> <li>● სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესებში და მათ ეფექტური თანამშრომლობა;</li> <li>● სწავლაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;</li> <li>● გამართული პროგრამები, შესაბამისი სილაბუსებით;</li> <li>● კომპიუტერებით და ინტერნეტით უზრუნველყოფა;</li> <li>● ბიბლიოთეკის ფონდის განახლება, ელექტრონული ბიბლიოთეკის არსებობა;</li> <li>● საბაზრო მოთხოვნებზე დაყრდნობით, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებითა და უცხოეთის წარმატებული უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები;</li> <li>● ძირითადი და დამატებითი სპეციალობების, არჩევითი მოდულებისა და საგნების ფართო არჩევანი;</li> <li>● სტაბილური მისაღები კონტინგენტი;</li> <li>● კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი;</li> <li>● საქართველოში ყველაზე ხელმისაწვდომი და უცვლელი სწავლების საფასური;</li> <li>● სწავლისა და სწავლების თანამედროვე პირობები, პროფესორ-მასწავლებელთა კარგი შემადგენლობა, ცალკეულ დისციპლინებში ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მოწვევის შესაძლებლობა;</li> <li>● მოკლევადიანი (ერთწლიანი) და გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმა;</li> <li>● სამეცნიერო შრომების კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“</li> <li>● ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა (Open biblio);</li> <li>● სტუდენტების აქტიური მონაწილეობა სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობაში;</li> <li>● სტუდენტების აქტიური მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში;</li> <li>● სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის გასავლელად გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები შესაბამის ორგანიზაციებთან;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმების გაფორმება.</li> <li>● უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით;</li> </ul>
<b>შესაძლებლობები</b>	<b>საფრთხეები, რისკები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>● საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიღწევასათვის გატარებული რეფორმები;</li> <li>● საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაინტერესება ურთიერთთანამშრომლობისათვის;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● მაღალი კონკურენცია საგანმანათლებლო ბაზარზე.</li> <li>● სპეციალისტთა მაღალი კონკურენცია დასაქმების ბაზარზე.</li> </ul>

● რეგიონის შემოქმედებითი პოტენციალის ინტეგრაცია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-სამეცნიერო და ინოვაციურ პოტენციალთან;

● განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენციის მაღალი დონე.